III კვარტალი, 2023

ეკონომიკური ზრდის ტემპის პროგნოზი

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2023 წ.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2023 წლის III კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი დადებითი იქნება და 6.9% დაფიქსირდება. მშპ-ის მოსალოდნელი ზრდა 2023 წლის მესამე კვარტალში განპირობებულია წინა წელს დაწყებული გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობის შენარჩუნებით. მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის მესამე კვარტალში ეკონომიკის ზრდის საბაზისო ეფექტი მაღალი იყო (2022 წლის მესამე კვარტალში ეკონომიკა გაიზარდა 9.8%-ით), ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება კვლავ გრძელდება. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპი შენარჩუნდა 2023 წლის II კვარტალში. კერძოდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით 2023 წლის II კვარტალში საშუალო რეალური ზრდა 7.4%-ით განისაზღვრა, რაც აღემატება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მეორე კვარტლის პროგნოზს (6.4%)[1].

საბიუჯეტო ოფისის 2023 წლის მესამე კვარტლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი ემყარება დაშვებებს, რომ 2022 წლის მესამე კვარტალთან შედარებით:

- ტურიზმის **მოცულობა დაახლოებით 1.3-ჯერ გაიზრდება** (2019 წლის მესამე კვარტლის პანდემიამდელ მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 1.1-ჯერ ნაკლები). ამავე დროს **გაიზრდება ქვეყნიდან გასული ვიზიტორების რიცხოვნობაც**.
- ტურიზმის ექსპორტის მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად **კვლავ შენარჩუნდება** შიდა ტურიზმის აქტივობა.
- **გაიზრდება როგორც კერძო მოხმარების, ისე ინვესტიციების მოცულობა,** რაც განაპირობებს მთლიანი მოხმარების და ინვესტიციების ზრდას და ეკონომიკური აქტივობის აღნიშნულ დადებით ტემპს.



*პროგნოზის ინტერვალი აღნიშნავს დიაპაზონს, რომელშიც მშპ-ის ზრდის ტემპი იქნება მოცემული. ინტერვალის შეფასება მიღებულია ცენტრალური პროგნოზისა და გასული წლების კვარტალური ეკონომიკური ზრდებიდან ±0.5 სტანდარტული გადახრის ჯამით.

[1] https://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/Forecast_2023_Q2_-_GEO.pdf

- მომსახურებით ვაჭრობის მკვეთრი ზრდის პარალელურად, მოსალოდნელია საქონლით ვაჭრობის მნიშვნელოვანი ზრდაც.
- მთავრობის საინვესტიციო აქტივობების ზრდასთან ერთად, გაზრდილი მოხმარების და კერძო ინვესტიციების პარალელურად მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად **გაიზრდება საქონლის იმპორტის რაოდენობაც**.
- გლობალური ეკონომიკის გაჯანსაღების ფონზე მოსალოდნელია, რომ გაიზრდება ექსპორტზე მოთხოვნა და შესაბამისად, **გაიზრდება საქონლის ექსპორტის მოცულობაც.**

აღნიშნული დაშვებების რაოდენობრივი შეფასების შედეგად მოსალოდნელია, რომ 2023 წლის მესამე კვარტალში ექსპორტის მოცულობა უფრო მეტად გაიზრდება, ვიდრე იმპორტი და წმინდა ექსპორტის კომპონენტი 0.9%-ული პუნქტით განსაზღვრავს ეკონომიკური აქტივობის ცვლილებას, ხოლო აბსორბციის (მოხმარების და ინვესტიციების ჯამი) კომპონენტი მნიშვნელოვნად გაიზრდება და მშპ-ის ცვლილებას 6.0%-ული პუნქტით განაპირობებს*. საბიუჯეტო ოფისის მიხედვით, 2023 წლის მეორე კვარტლის ეკონომიკური ზრდის შეფასებაში წმინდა ექსპორტი 0.04%-ული პუნქტით, ხოლო აბსორბციის კომპონენტი 7.4%-ული პუნქტით განისაზღვრა.



*2023 წლის III კვარტლის მშპ-ის ზრდის დეკომპოზიცია. საბიუჯეტო ოფისის შეფასება.

დამატებითი ინფორმაცია:

[წლიური მაკროეკონომიკური პროგნოზები]

[განმარტება მაკროეკონომიკური პროგნოზების მოდელის შესახებ]